ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N82

2018 წლის 10 მაისი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 24 აპრილის N01/4219 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში შეტანილ იქნას ცვლილება და დაემატოს თანახმად დანართისა.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

დანართი

N	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	აუქციონის ფორმა	საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	ბე (ლარი)	ბიჯი (ლარი)	შეძენილი ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი	გეგმის განხორციელების პერიოდი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ქ. ქობულეთში, ვერულიძის ქუჩა N9ბ-ს მიმდებარედ მდებარე 56,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.05.558	პირობების გარეშე აუქციონი	2016	400	500	გამარჯვებიდან ერთი თვის ვადაში	2018 წლის მეორე კვარტალი
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 53,7 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობა	20.49.01.203	პირობებიანი აუქციონი _ სავაჭრო ობიექტის მშენებლობა	8586	1800	2200	გამარჯვებიდან ერთი თვის ვადაში	2018 წლის მეორე კვარტალი